ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980135795690217

№16/2442

13 / იანვარი / 2017 წ.

შპს მუხამბაზი. ლევან დავლაძე

საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი
ბელიაშვილის ქ., №36

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #436784/07 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-436784/07

"13" 01 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქ. №36-ში (საკ. კოდი №01.13.03.023.081) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა-ნაგებობის (რესტორანი) რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №29 79231 08.12.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქ. №36-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

+16.200 და +18.300 ნიშნულებზე შეცვლილია სახურავის დეკორატიული ელემენტების ფორმა და ფერი. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. 10-10 ღერძის მარჯვნივ F-G მონაკვეთში ტერიტორიაზე მოწყობილია აგრეგატი.
„11-10" ფასადზე: -0.300 ნიშნულზე შემცირებულია პანდუსის სიგრძე. 3-4[1] მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა და შეცვლილია კიბის ფორმა. 3 ღერძის მარჯვნივ დამატებით მოწყობილია სარეკლამო სტენდი. 1-3 და 4[1]-9 მონაკვეთებში მოაჯირებს მონაცვლებული აქვს ადგილი ვიტრაჟებისაკენ, ვიტრაჟებს შორის და 8[1]-9 მონაკვეთში გაუქმებულია მოაჯირი და ლითონის დეკორატიული ელემენტები. +4.130 ნიშნულის ქვევით შემცირებულია წითელი ტრავერტინის ფილებით მოპირკეთების გაბარიტი. 2-3 მონაკვეთში +4.800 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +9.580 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერები. +11.800 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია დეკორატიული ელემენტების ფორმა. +13.100 ნიშნულზე 1-2 და 8[1]-9 მონაკვეთებში სამერცხლულებთან შეცვლილია სახურავის ფორმა. +13.100 ნიშნულის ზევით 3-7[1] მონაკვეთში სამერცხლულებთან გაუქმებულია ლითონის დეკორატიული ელემენტები. 1-2 და 8[1]-9 მონაკვეთებში სამერცხლულებზე მოწყობილი მრგვალი ფანჯრების ძირში დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტები.
„J-G" ფასადზე: ±0.000 ნიშნულის ზევით გაუქმებულია მოაჯირი და ლითონის დეკორატიული ელემენტები. +4.130 ნიშნულის ქვევით I, C[1], H და F ღერძებში დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტები. +13.100 ნიშნულზე სამერცხლულზე მოწყობილია ფანჯრის ქვევით დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტი, სამარცხლულის თავზე გაუქმებულია ლითონის დეკორატიული ელემენტი. J-I მონაკვეთში +13.100 ნიშნულის ზევით სამერცხლულის გვერდებში შეცვლილია სახურავის ფორმა.
„G-J" ფასადზე: დარღვეულია კედლის სიბრტყე და კედელზე დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტები. H[1]-C მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. +13.100 ნიშნულზე C-I[1] მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი.
„10-11" ფასადზე: დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა და კონდეციონერები. 8[1]-6[1] მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგების ნახატი. 10-9 მონაკვეთში კედელი ნაწილობრივ შეფუთულია ტრავერტინით. შეცვლილია წყალშემკრები მილის ფორმა. 3-2 მონაკვეთში ფრამუგებზე დამატებით მოწყობილია ცხაურები და გამწოვი მილი. 10-8 მონაკვეთში +13.100 ნიშნულზე პარაპეტის ნაწილი შეფუთულია თუნუქის ფურცლებით. სახურავზე გაზრდილია აგრეგატების რაოდენობა და გაბარიტები. გაზრდილია გამწოვი

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 500, 2 378 396

მილების რაოდენობა და გაბარიტები.

„გეგმების მიხედვით" -4.10 ნიშნულზე G-F მონაკვეთში მონოლითური კიბის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები კიბე. შემცირებულია სართულის სიმაღლე. 3-6[1] მონაკვეთში შეცვლილია იატაკის დონე. ±0.00 ნიშნულზე 2-3 მონეკვეთში გაზრდილია პანდუსის სიგანე. 1-1 ღერძის მარცხნივ ტროტუარზე დამატებით მოწყობილია სასინათლო ორმოები და სასინათლო ორმოები შევსებულია მინაბლოკით. G-F მონაკვეთში შემცირებულია კიბის სიგანე, შეცვლილია კიბის ფორმა, საფეხურების რაოდენობა და მონოლითური კიბის ნაცვლად მოწყობილია ანაკრები კიბე.' 3-4[1] მონაკვეთში შეცვლილია კიბის ფორმა. +4.80 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბეები. +7.650 ნიშნულზე გაზრდილია ანტრესოლზე ასასვლელი კიბის საფეხურების რაოდენობა. G-F 2-1 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სახურავზე ასასვლელი ღიობი. +12.800 ნიშნულზე 6-1 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედელი. სახურავზე მდებარე კედლების ნაწილი შეფუთულია თუნუქის ფურცლებით. F-C[1] მონაკვეთში სახურავზე დამატებით მოწყობილია კარი და ლითონის კიბე. სახურავის ძირში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციული ელემენტები.

„ჭრილის მიხედვით" +13.100 ნიშნულზე შეცვლილია სახურავის დახრა.

პროექტის ხარვეზი: 10-8 და 2-1 მონაკვეთებში ნაჩვენები სახურავის ფორმა არ შეესაბამება 10-11 ფასადზე ნაჩვენებ სახურავის ფორმას.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. "მუხამბაზი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის ქ. №36-ში (საკ. კოდი №01.13.03.023.081) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა-ნაგებობის (რესტორანი) რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №436784/07 12.12.2016წ. განცხადება.
№წ-436784/07 15.12.2016წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**